საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. სტრიქონი
4 „ 150,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 476 ოთხშაბათი, მაისის 23 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

## ომი ომს

თანამედროვე კაპიტალისტურ ევროპის ცხოვრებაში მრავალ საგულისხმო ფაქტს აქვს ადგილი. რეაქციონური ბურჟუაზია ბრძოლის გუნებაზეა. საომარ-სამხედრო ტექნიკის განვითარება—გაუმჯობესობის საკითხი ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში დამკვრელ ამოცანადაა წამოყენებული. საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და სხ. ახალი საომარ იარაღების გამოგონება—შემოღების ცდაშია. ბურჟუაზიულ ტექნიბურ-მეცნიერების „უკანასკნელი სიტყვა“ ამ მიმართულებითაა წარმოთქმული.

რურის ოლქის ოკუპაცია პრაქტიკული ნაბიჯია საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ გადადგმული. ფაშიზმის გაძლიერება და მისი საერთაშორისო ხასიათის მიღება კაპიტალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკური რეაქციის გაძლიერების ნიშანია. შესაძლოა მრავალ მაგალითების აღნიშვნა...

ამ ჟამად მთელი ქვეყნის წინაშე ახალი მოვლენაა ასახული. ინგლის-რუსეთს შუა არსებული კონფლიქტი იპყრობს მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების ყურადღებას. ამერიკისა და იაპონიის კაპიტალის მაგნატები გულის ფანცქალით უთვალთვალებენ კერზონის გაბედულ პოლიტიკას. ევროპის, განსაკუთრებით—ანტანტის ქვეყნები ყველაზე მეტადაა დაინტერესებული თავის „მეთაურ-ბელადის“—დიდი ბრიტანეთის ახლო მომავლით.

საბჭოთა ფედერაციის მუშებისა და გლეხებისათვის აშკარაა და ნათელი შექმნილ მდგომარეობის შინაარსი. კაპიტალისტურ დიპლომატიის „საიდუმლოება“ არაა დაფარული და ამოუცნობი საბჭოთა ქვეყნების მშრომელ მასსებისათვის. მართალია, დღეს ომი არ არის ოფიციალურად, ფაქტიურად. საბჭოთა რუსეთს არავინ ებრძვის აშკარად იარაღით ხელში. მაგრამ განა ეს მშვიდობიანობის მომასწავებელია? სრულებით არა. საბჭოთა ფედერაციას არ ებრძვიან ლეგალურად, მაგრამ მასთან წარმოებენ სისტემატიურ „მალულ“ ომს.

გენუა, ჰაგა, ლოზანა № 1 და № 2, კაპიტალისტურ ევროპის „ნოტაციები“ და მრავალი მსგავსი მაგალითები ცხად ყოფს **ნამდვილი ომის** ფიზიონომიას. მოკლედ, რევოლიუციონური ფედერაცია არასდროს არ ყოფილა **მშვიდობიან** მდგომარეობაში. იგი არც მომავალში იქნება სხვანაირად, და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ქარიშხალი არ წალეკავს დახავსებულ ბურჟუაზიულ სამყაროს. მსოფლიო მასშტაბით მებრძოლ ორ მოწინააღმდეგე ძალის საბოლაოდ შერიგება—დამეგობრება შეუძლებელია. დროებით „დამოყვრება“ არ ჰგულისხმობს მათ შუა არსებულ წინააღმდეგობათა მოსპობს, „ომის“ ლიკვიდაციას.

დიახ, კაპიტალისტური მსოფლიო იანუსური ბუნებისაა. იგი აწარმოებს ომს ორ სახით-აშკარად და ფარულად, ე. ი. ხან იარაღით, ხან-დიპლომატიობით. ეს დამოკიდებულია დროსა და პირობებზე, ბრძოლა სტრატეგიაზე, ტაქტიკაზე.

ინგლისის მთავრობის მემორანდუმი საბჭოთა მთავრობისადმი მაჩვენებელია იმის, რომ კაპიტალისტური დიდი ბრიტანეთი „პრაქტიკულ პოლიტიკის“ ნიადაგზე გადადის, სიტყვებსა და ფრაზებიდან საქმის სფეროში ეშვება. ფარულ ომიდან აშკარა ომს მიმართავს ანტანტის ბურჟუაზიის მეთაური.

მეტად საინტერესო კითხვის წინაშე ვსდგევართ: რა მოყვება „კონფლიქტს“ შედეგად? ინგლისის რეაქციონური მთავრობა დაანთებს ომის ცეცხლს?

ევროპამ ომის ენტუზიაზმის პერიოდი განვლო. იმპერიალისტურ 1914—18 წ. წ. ბრძოლებმა ძალზე დააშოშმინა ბურჟუაზიის ანთებული სულისკვეთება. დღეს ევროპის უახლოესი მიზანი ახალი ომი კი არ არის, არამედ ომის საკითხის აცილება და ეკონომიური მშენებლობა. გენუის კონფერენცია იყო ამის ილიუსტრაცია. ამ ჟამად ლოზანა № 2 განაგრძობს გენუის მიერ გადადგმულ ნაბიჯების ლოგიკურ დასკვნამდე მიყვანას.

კერძოთ ინგლისის ბურჟუაზია შედარებით ეკ. კრიზის განიცდის, ვინემ საფრანგეთ-იტალიის ბანამოძმეები. აუარებელი ფაქტები და წინასწარი მასალები იძლევა ინგლისის მდგომარეობის სურათის ობიექტიურ მოხაზულობას.

დიდი ბრიტანეთი უმთავრესად ახალშენების ძვლის წიაღიდან ამოწურწნულ წვენით იკვებებოდა. კოლონიები წარმოადგენდა ინგლისისთვის მთავარ ექსპლოატაციო ობიექტს. ვეებერთელა ოთხას მილიონიანი ინდოეთი იყო ის დიდი ბაზარი, სადაც საღდებოდა ინგლისის კაპიტალი სათარეშო ასპარეზს საერთოდ კოლონიებში პოულობდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, შეტრიალდა ჩარხის ღერძი. ახალშენები საკუთარ დამოუკიდებელ ენაზე ამეტყველდა. ეროვნული ინდუსტრია ახალშენებში განვითარდა-გაძლიერდა. ამ მოვლენამ ინგლისის კაპიტალისტების მადა ძალზე შეზღუდა. ბრიტანეთის კაპიტალისა და ნაწარმოებთათვის კოლონიების კარები დაიხშო, ბაზარი შევიწროვდა. გაჩაღდა მეტროპოლიისა და კოლონიის კაპიტალის, „ბატონისა და ყმის“ შუა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. შემდეგი აშკარაა მსოფლიოსათვის: რევოლიუციები კოლონიებში, „ჯადოსნური წრის“ ჩამოყალიბება ინგლისის კაპიტალისთვის.

საბჭოთა ფედერაცია ერთად ერთი ქვეყანაა, რომელთან შეუძლია ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება ინგლისს „ხელსაყრელ“ პირობებში. „რუსეთ-ინგლისის შეთანხმება“ ამის დამამტკიცებელი აქტია.

შეუძლია ინგლისის ბურჟუაზიას „ბლოკადის“ გაგრძელება, საბჭოთა ფედერაციასთან ომის წარმოება? უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ინგლისის წინაშე სერიოზული დაბრკოლებებია ამართული. ეკონომიური აღორძინების საქმე ინგლისს დიამეტრალურად საწინააღმდეგოს უკარნახებს, ვინემ ამას ჰგულისხმობს კერზონის ჰეროსტრატისებური გამბედაობა. ომის დაწყება-გაგრძელება მოსპობს და გაანადგურებს ინგლისის ინდუსტრიას, ვაჭრობა-მრეწველობას. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით დიდი ბრიტანეთი საბედისწერო ქუჩაბანდში მოემწყვდევა...

როგორც ვიცით, მანჩესტერის მრეწველთა საბჭომ გამოიტანა რუსეთთან კონფლიქტის დაუყონებლად მოგვარების რეზოლიუცია. მანჩესტერი ყველაზე მეტადაა კაპიტალისტური წარმოების ყალიბში მოქცეული. მისი მსხვილი მრეწველები თავის დადგენილებით ანუსხავენ იმას, რაც უშუალოდ ეხება მთელი ინგლისის მსხვილ წარმოების ინტერესებს.

ამ რიგად, წმინდა ეკონომიური მოსაზრებები მრავალ მასალას იძლევა ომის საწინააღმდეგოდ. ბონარ-ლოუს გადადგომა სასწორს ან ომისკენ გადახრის, ან ზავისაკენ. „ცხენის დალალ“ ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა „მშვიდობიანობის“ პოლიტიკა იხსნის კაპიტალისტურ ინგლისის ლენდ-დარდებს და ბურჟუაზიას ომის საშინელ რეზულტატებისაგან.

საშუალო საუკუნოებში ომის მიზეზად ხშირად რომანიული მომენტები ევლინებოდა კაცობრიობას. დღეს „რომანტიკა“ კი არ ქმნის ისტორიას. არამედ უფრო რეალური ინტერესები, აშკარაა. კერზონის კაპრიზებს, ისეთი ბედი ეწევა, როგორც ლოიდ-ჯორჯის „ჰუმანიზმს“.

ჩვენ ვიტყვით: ინგლის-რუსეთს შუა არსებული შეხლა-შემოხლა თუ ომით დაგვირგვინდა, ეს იქნება მომასწავებელი იმის, რომ „რეაქციის კართაგენი“ დიდი ბრიტანეთი პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე წარსდგება.

დასავლეთ ევროპის პროლეტარულ წრეებში უკვე გადაჭრილად ითვლება იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეტევის საჭიროების საკითხი. დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტია იცავს საბჭოთა ფედერაციას კერზონის ბრჭყალებისაგან. მეფის საიდუმლო მრჩეველი—რამზეი მაკდონალდიც კი პარლამენტის მუშათა ფრაქციის სახელით ამხანაგურის კილოთი სთხოვს ამხ. ლიტვინოვს (გარ. საქ. კომ. მოად.) ინგლისთან მეგობრულ ენაზე ალაპარაკებას. ფრაქცია თანაუგრძნობს საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესებს. ამას მიუმატეთ ყვითელ ფრაფინტერნის თანამედროვე პოზიციაც, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გეზი კაპიტალის შემოტევის ვითარებაში. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარაა და ნათელი, რომ საბჭოთა ფედერაციის სასარგებლოდაა გადახრილი საერთაშორისო მუშათა კლასის სიმპატია. რევოლიუციონურ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ღირსეულად დაიმსახურეს მსოფლიო პროლეტარიატის ნდობა და მხურვალე თანაგრძნობა.

**ომი ომს**! აი მშრომელთა კლასის წიაღიდან ამოხეთქილი ლოზუნგი. ახლო მომავალი გადასწყვეტს მსოფლიო რევოლიუციის და კაპიტალისტური რეაქციის ბედს.

---

## პრესა

შესახებ ამსტერდამელი ფიმენის გამოსვლისა, რომელმაც ჩეხო-სლოვაკიის რკინიგზელთა ყრილობაზე განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი ერთად-ერთი სიმაგრეა მსოფლიო მუშათა მოძრაობისაო—გაზ. „კომუნისტი“ სწერს:

„თუ ასეთი აზრი მოედო ამსტერდამელებს—ეს იქნება მომასწავებელი მუშათა ერთიანი ფრონტის გამარჯვების და კომინტერნის გავლენის გაფართოების. როგორც არ უნდა იყოს პრაქტიკული შედეგი ფიმმენის ასეთი გამოსვლისა ცხადია, რომ ის გამოხატავს გარკვეულ მიდრეკილებას ამსტერდამელების მიმდევარ მასებისას და ამდენათ ის ფრიად მაჩვენებელია. ცხადია, რომ კომინტერნის ტაქტიკა ჰპოულობს გამოხმაურებას მემარჯვენე პროფკავშირების შემადგენელ მასებშიაც და ამნაირათ ჩვენ ვუახლოვდებით მიზანს, პროლეტარიატის ძალთა კოორდინაციას შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისა და იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ. ეს გარემოება კიდევ მეტ ენერგიას შეჰმატებს იმ ამხანაგებს, რომლებიც ენერგიულათ იბრძვიან დღეს ამ ერთიანი ფრონტისთვის ყველა ქვეყნებში. ჩვენი მოვალეობაა კიდევ მეტი ენერგიით მუშაობა ამ მიმართულებით. ამას შესძლებს კომინტერნი და წითელი პროფესიონალური ინტერნაციონალი“.

---

## შენიშვნების საპასუხოთ

2.

ამხ. სან—დონმა „კონკრეტიული მაგალითის“ მეთოდით შემცდარი დასკვნა გამოიყვანა: მარქსისა და ენგელსის მიერ ირლანდიისა და პოლონეთის განთავისუფლების შესახებ გამოთქმული აზრიდან.

ჩვენ პირველ წერილში აღვნიშნეთ, თუ რამდენათ მიუღებელია ამხ. სან—დონის დასკვნები. მისი მეთოდის მოხმარა შემცდარ დასკვნებს გვაძლევს. მაგალითისათვის ავიღოთ სტალინის პოლიტიკა.

იგი მომხრეა, რომ ინდოეთი, არაბეთი, ეგვიპტე, მაროკო და სხვა კოლონიები ჩამოშორდეს ანტანტის ქვეყნებს. აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ამხ. სან—დონო, რომ სტალინი ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის პროექტს გვაძლევს? ასეთი დასკვნა შემცდარი იქნება. იგივე სტალინი ჩვენ გვეტყვის და კიდეც გვეუბნება; რომ „მე **წინააღმდეგი** ვარ რუსეთს ჩამოშორდეს განაპირა ქვეყნებიო“.

კიდევ მეტი: მას უკიდურეს რეაქციონურ საქმედ მიაჩნდა კავკასიაში ნაციონალ-კულტურული ავტონომიის შემოღება.

როგორც სტალინის თანხმობა ინდოეთისა და მაროკოს გამოყოფისათვის ვერ ხდის მას ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველად საზოგადოთ, ისე მარქს-ენგელს თანხმობა ირლანდიისა და პოლონეთის განთავისუფლებისთვის ვერ გახდის მათ ეროვნულ დამოუკიდებლობის ეპოლოგეტებად.

ამხ. სან—დონის წინააღმდეგ რომ მივმართოთ მისივე „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდი, იგი იძულებული გახდება ხელი აიღოს მის აზრზედ, რომ „... **ეროვნული საკითხი წარმოადგენს უაღრესად რევოლიუციონურ ფაქტსა და მისი რეალურად დაყენებით დღესვე თანამედროვე პირობებში ეცლება ნიადაგი კაპიტალიზმის ბატონობასა და ირყევა მისი არსებობის საფუძვლები**“. (ხაზი ჩემია ს. ა.) ამ კონკრეტიული ციტატით თუ ვიხელმძღვანელებთ, თურმე **მხოლოდ** ნაციონალური საკითხის „რეალურად“ დაყენება დღესვე ამსხვრევს კაპიტალიზმის ბატონობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არც კონკრეტიული შინაარსის ციტატაა. იგი ზოგადი აზრია, მაგრამ ცხადია ამხ. სან—დონმა ცუდათ გამოთქვა აზრი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იგი კაპიტალიზმის ბატონობის დამსხვრევას არ ხედავს **მხოლოდ** ნაციონალური საკითხის „რეალურად“ დაყენებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც რომ საკვირველი იქნებოდა, რომ კაპიტალიზმი არ არის დამსხვრეული, რადგან თვით ამხ. სან—დონი აღნიშნავს, რომ კომინტერნი სწორად აყენებს ნაციონალურ საკითხს. მაშასადამე მხოლოდ ნაციონალური საკითხის „რეალურად“ დაყენება რომ ამსხვრევდეს კაპიტალიზმის ბატონობას იგი დღეს კაპიტალიზმი უკვე დამსხვრეული უნდა იყოს, რადგან ეროვნული საკითხი კომინტერნის მიერ „რეალურად“ არის დაყენებული თვით ავტორის აზრით.

რადგან ამხ. სან—დონი სწორად და მისაღებად სთვლის მარქსის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში და კომინტერნის პოლიტიკა მიაჩნია ამ საფუძველზე დამყარებულად, ზედმეტი არ იქნება მოვისმინოთ კომინტერნის ამხ. ლენინის აზრიც. და შევადაროთ რამდენათ ეთანხმება ამხ. სან—დონის ინტერპრეტაცია მარქსიზმისა ამხ. ლენინის ინტერპრეტაციას.

ამხ. ლენინი სწორედ იმავე ირლანდიის საკითხის ირგვლივ ეხება მარქსის აზრს, რასაც თავს დასტრიალებს ამხ. სან—დონიც. ამხ. ლენინი ამბობს: „**თვით გამორკვევის ცნობა არ უდრის ფედერაციის მიღებას, როგორც პრინციპისას. შეიძლება იყოთ გადაჭრილი მოწინააღმდეგე ამ პრინციპის და მომხრე დემოკრატიული ცენტრალიზმის, მაგრამ ამჯობინოთ ფედერაცია ნაციონალურ არათანასწორუფლებიანობას, როგორც ერთად ერთი გზა სრულ დემოკრატიულ ცენტრალიზმისაკენ. სახელდობ, ამ თვალსაზრისით, მარქსი როგორც ცენტრალისტი, უფრო ამჯობინებდა ინგლისთან ირლანდიის ფედერაციას, ვიდრე ინგლისელების მიერ ირლანდიის ძალით დამორჩილებას.**

„**სოციალიზმის მიზანს შეადგენს არა მარტო კაცობრიობის პატარა სახელმწიფოებად დანაწილებისა და ნაციათა ყოველგვარი კარჩაკეტილობის მოსპობა, არა მარტო ნაციათა დაახლოვება, არამედ მათი შეერთებაც**“ (сляние), (Н. Ленин. собрание сочинений. ტ 19. 171 გვ.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. ლენინმა უფრო კარგად გაიგო მარქსი, ვიდრე ამხ. სან—დონმა. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ამხ. ლენინის აზროვნება და ლოღიკა მკაცრად მარქსისტულია, ხოლო ამხ. სან—დონის აზროვნება და ლოღიკა კი სუბიექტიურად მარქსისტულია, ე. ი. მას სურს მარქსისტული იყოს, მაგრამ ობიექტიურად შორს არის მარქსიზმიდან, რადგან საკუთარ პოლიტიკურ სიმპატიებს ახვევს მარქსს თავზედ.

ზოგიერთი ისტორიკოსი ხშირად ისტორიას ისეთ რასმეს ათქმევინებს, რაც ისტორიას არასოდეს არ უთქვამს. ასეთივე ბედი ეწვია ზოგიერთ ინტერპრეტატორს. ასე დაემართა ამხ. სან—დონსაც, მას სურს მარქს ათქმევინოს ის, რაც მარქსს არასოდეს არ უთქვამს.

მართალია გარკვევით და კონკრეტად არაფერს გვეუბნება ამხ. სანდონი, მაგრამ რასაც ამბობს, მასში ნათლად სჩანს, რომ; იგი უთანაგრძნობს ერთა დამოუკიდებლობას, ერთა სახელმწიფოებრიობას. მისი სიმპატიაა ეროვნული სახელმწიფოსაკენ, დეცენტრალისტურ პრინციპისაკენ და არა ცენტრალიზმისაკენ. ასეთი ენით სურს მას მარქსის ალაპარაკებაც, მაგრამ ამაოდ.

ამხ. სან—დონი ვერ ამჩნევს, თუ რა პრინციპიალური განსხვავებაა ერთა დამოკიდებულობის დაცვის შორის ერთი მხრივ და ამ დაცვის „**როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანების“ საშუალებად მიღების** შორის მეორე მხრივ.

ჩვენ გვინდა ვკითხოთ ამხ. სა—დონს: მისთვის „სალად და სწორად“ არის მიჩნეული ამხ. ლენინის ცენტრალიზმი და „სოციალიზმის მიზანი“ „ერთა შეერთება?“ ან და მისაღებია მისთვის ერთა დამოკიდებულობა, როგორც საშუალება სრული გაერთიანების? თუ ამ კითხვას ამხ. სან—დონი დადებითად უპასუხებს ამით დაამტკიცებს, რამდენად დაშორებია სოციალ-ფედერალიზმის პრინციპებს.

თუ ის უარყოფითად უპასუხებს დასმულ კითხვას, იმ შემთხვევაში უარყოფს „სალად და სწორად“ მიჩნეულ გადაწყვეტას ეროვნული საკითხისას „როგორც ეს უნდა ესმოდეს ყოველ რევოლიუციონერს“ მისი გაგებით.

ამხ. სან—დონს თუ სურდა მოეცა ნაციონალური საკითხის გაშუქება მარქსს-ენგელსის თვალსაზრისით, მას თავდაპირველად უნდა მოეხდინა მარქს-ენგელსის დოქტრინის საერთო სქემატიური გაშუქება და უნდა განესაზღვრა ნაციონალური მომენტის ადგილი ამ დოქტრინაში. ეს კი მეტად ძნელი საქმეა. მარქსი თავის „კაპიტალს“ ირლანდიის მოძრაობის ანალიზით კი არ იწყებს, ან კოლონიებისა და მეტროპოლიის ურთიერთობის გამოკვლევით. არამედ „საქონლის ანალიზით“. მისი მხედველობა უაღრესად მონისტურია. მისი აზროვნების ძირითადი კონცეპციაა საწარმოო ძალთა ურთიერთობის გამოკვლევის გზით, მიღება იმ ეკონომიური კანონის, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საზოგადოების მოძრაობას. მისთვის ეკონომიური ფაქტორია ალფა და ომეგა როგორც ევოლიუციის, ისე რევოლიუციის. იგივე ფაქტორი-

საფუძველია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი გამოვლინებს. მარქსის აზრით საწარმოო ძალთა ურთიერთობის როგორც რეფლექსიაა როგორც სამართალი და პოლიტიკა, ისე ეთიკა და ესტეტიკა.

თუ ვინმე კონტრაბანდით შეაპარებს მარქსის მხედველობაში ნაციონალურ საკითხს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფაქტორს, მაშინ მარქსის მთელი სისტემა ინგრევა. თუ კლასობრივი მომენტის გვერდით თქვენ ეროვნულ მომენტსაც წამოაყენებთ მარქსის სოციოლოგიაში, ამით თქვენ მოახდენთ მის ფალსიფიკაციას.

ამხ. სან—დონი შუაგზაზედ სდგას. მას სურს ერთა დამოკიდებულობაც შეინარჩუნოს და მარქსიზმთანაც ახლოს იყოს; სურს სოციალისტ-ფედერალისტად დარჩეს, მაგრამ მარქსისტულ მხედველობის გავლენა მიაქანებს ნაციონალისტური „საკითხი ტაქტიკის ნიადაგზე დააყენოს.

ერთი სიტყვით ეროვნული საკითხი უნდა იყოს ან ტაქტიკის საკითხი, რომელსაც მაშინ მოვიხმართ, როცა გამოგვადგება და მაშინ უკუაგდებთ, როცა საჭირო აღარ იქნება: ან და იგი უნდა იყოს პრინციპი, რომელიც ყოველთვის უნდა მოვიხმაროთ და რომელსაც ხელს ვერასოდეს ვერ გაუშვებთ, პირველი წესით საკითხის დაყენება არის მარქსისტული. ამხ. სან—დონის სურს, რომ პირველიც დაიცოს და მეორეც, ამიტომ იგი ვერც ერთს იცავს და ვერც მეორეს.

ამხ. სან—დონის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ იგი „კონკრეტიული მაგალითების მეთოდით ხელმძღვანელობს. მაიც ზოგადი დებულებებით მსჯელობს. ამ მხრივაც მისი მსჯელობა მოგვაგონებს ორტოდოქსალი მარქსის მსჯელობას ნაციონალური საკითხის სფეროში. „თვით გამორკვევის პრინციპი“ ხან იმდენად ვიწრო იყო, რომ კულტურული ავტონომიაც არ თავსდებოდა შიგ, ხოლო ხან ისე ფართოვდებოდა და გაფართოვდა კიდეც, რომ სეპარატიზმიც მოთავსდა შიგ და შოვინიზმამდე მიიყვანა მენშევიკური პარტია.

დასარულ, ამხ. სან—დონს საკითხი უნდა დაუსვათ პირდაპირ:—მისთვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხია, თუ ტაქტიკის? მისაღებია თუ არა მისთვის ამხ. ლენინის ინტერპრეტაცია მარქსისა, რომელის აზრით ირლანდიის ფედერატიული დაკავშირება ინგლისთან იყო ერთადერთი გზა სრული ცენტრალიზმისაკენ? თუ ეს მისაღებია, არის თუ არა მისაღები, „სალი და სწორი“ მისთვის სრული ცენტრალიზმი? არის თუ არა მისთვის მისაღები დამოუკიდებულობა, როგორც **საშუალება** გაერთიანებისა როგორადაც ეს ესმის ენგელსს?

ამ საკითხებზედ სწორი პასუხი ამხ. სან—დონს გადააცდენს მარქსიზმისა და სოციალ-ფედერალიზმის შუა დგომას.

**სერ. ამაღლობელი.**

---

# რადიო-დეპეშები

## ლოზანას კონფერენცია

**საბერძნეთ-ოსმალეთის საკითხი.**

**ლოზანა.** 18 მაისი. კონფერენციამ დაამთავრა საზავო ხელშეკრულების ეკონომიურ მუხლებზე მსჯელობა. კონფერენციის მთავარ საკითხათ რჩება ოსმალეთ-საბერძნეთის დამოკიდებულების საკითხი.

**ინგლის-გერმანიის ხელშეკრულება.**

**ლოზანა.** 18 მაისი. გაზ. „ინფორმასიონ ციურიხ“-ის ლოზანის კორესპონდენტის ცნობით, ინგლისსა და გერმანიის შორის დადებულია ხელშეკრულება ანატოლიისა და ბაღდადის რკინის გზების ექსპლოატაციის შესახებ. საფრანგეთის დასამშვიდებლად მას უფლება ენიჭება მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში 25 პროცენტის რაოდენობით.

**საბერძნეთის ულტიმატუმი.**

**ლოზანა.** 18 მაისი. ვენიზელოსის მიერ ისმეტ-ფაშისათვის წარდგენილ მოთხოვნილებას, რომლის ძალითაც საზავო ხელშეკრულებაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ საბერძნეთი არაფერს არ იხდის, ულტიმატუმის ხასიათი აქვს, რომლის ვადაც შაბათს გათავდა.

**ოსმალეთი არ უთმობს.**

**ლოზანა.** 18 მაისი. ოსმალეთის მიერ ოსმალეთის საზღვრებში საზღვარ-გარეთის სკოლების ცნობის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. გაზეთები სინანულს გამოსთქვამენ, რომ ოსმალეთი ამ საკითხში შეურიგებელ პოზიციას იდგას.

**პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება.**

**ვარშავა.** 17 მაისი. 16 მაისს დაიწყო ოსმალეთსა და პოლონეთს შორის უშუალო მოლაპარაკება ოსმალეთ-პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

**საბერძნეთის დელეგაცია წასვლით იმუქრება.**

**ვენა.** 19 მაისი. საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საბერძნეთი უარს იტყვის ოსმალეთ-საბერძნეთის დაკმაყოფილების საკითხის სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემაზე და მოითხოვს ამ საკითხის საჩქარო მოგვარებას. პრემიერის სიტყვით, საბერძნეთის დელეგაციამ ლოზანაში წინადადება მიიღო დატოვოს ლოზანა იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება საბერძნეთისათვის რაიმე დაკმაყოფილების გადახდევინების შესახებ.

**მესამე ლოზანის შესაძლებლობა.**

**პარიზი.** 19 მაისი. საფრანგეთის პრესის ერთსულოვანი აზრით, ლოზანას კონფერენციის მუშაობა ძალიან ზანტათ მიმდინარეობს. „პტი პარიზენი“ აღნიშნავს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტის შესაძლებლობას ოსმალეთის იმ ხრიკების მიზეზით, რომელსაც მიზნათ აქვს საკითხის გადაწყვეტის გადადება.

**ბონარ ლოუს გადადგომა.**

**ლონდონი.** 21 მაისი. პრემიერ-მინისტრის ბონარ ლოუს კანცელიარია ოფიციალურათ იტყობინება, რომ ბონარ ლოუ გადადგა. ამ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ბონარ ლოუს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა ეხლანდელ რთულ პოლიტიკურ მომენტში, მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო. მეფემ მიიღო გადადგომა და გამოსთქვა მწუხარება პრემიერის წასვლის გამო.

ინგლისის პრესა უკეთებს ჯამს ბონარ ლოუს მოღვაწეობას. მის მემკვიდრედ ასახელებენ კერზონს, დერბის, ჰერცოგ დევანშირსკის და ბალდვინს.

გაზეთი „ობსერვერი“ ფიქრობს, რომ ბონარ ლოუს უკეთესი მემკვიდრე იქნებოდა ლორდ ბალფური. „სანდეი ტაიმსი“-ც მომხრეა ბალფურის კანდიდატურის.

**ლონდონი.** 21 მაისი. ეხება რა ბონარ ლოუს გადადგომას, ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ გადადგომა მოხდა სწორედ დღესასწაულის დროს, როდესაც ყველა პოლიტიკური მოღვაწეები წავიდენ ლონდონიდან. ამ გარემოებამ შეაფერხა კონსერვატიული პარტიის საბჭოს მოწვევა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის მაინც მოწვეულ იქნა. პრესამ გამოაქვეყნა კონსერვატიული პარტიის პროგრამა და უძღვნა მას მოწინავე წერილები. კონსერვატიული პრესა მოუწოდებს პარტიას გაერთიანებისაკენ. „დეილი ტელეგრაფი“ ამის გამო ამბობს: კონსერვატიული პარტიის ყველა ლიდერები, რომელთაც სურთ დაუმტკიცონ ბონარ ლოუს ერთგულება და პატივისცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამტკიცებენ ამ გრძნობებს, თუ ისინი უარყოფენ პირად უთანხმოებას და შემოკრბებიან ბონარ ლოუს მემკვიდრის გარშემო. საერთო აზრით უკანასკნელის მემკვიდრე იქნება ლორდ კერზონი ამავე დროს კანდიდატებათ ასახელებენ ბალდვინს და ლორდ დერბის.

**რუსეთი და ინგლისი.**

**ლონდონი.** 11 მაისი. მანჩესტერის მრეწველთა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს კერზონის პოლიტიკას და მოითხოვს ყველა სადაო საკითხების სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემას იმ პირობით, რომ საკითხი საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ გადაწყდება შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ ურთიერთობა რუსეთსა და ინგლისს შორის გაწყვეტილი იქნება, საბჭო მოქმედების კომიტეტის შექმნით იმუქრება.

**ლონდონი.** 17 მაისი. გაზეთები იუწყებიან, რომ სამებობის განმავლობაში კერზონი მიემგზავრება ქალაქს გარეთ და შეხვდება ამხ. კრასინს იმ კვირაში იმის შემდეგ, როცა უკანასკნელი მიიღებს ინსტრუქციებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მოლაპარაკების საგანს შეადგენენ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ორივე მხარე შეთანხმდა არ გამოაქვეყნოს არაფერი, რაც მოლაპარაკებას შეეხება.

**ლონდონი.** 21 მაისი. ლონდონის ბაზრის მუშაობა გასული კვირის განმავლობაში შევიწროებული იყო, ვინაიდან ბაზარი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს თემთა პალატაში გამართულ კამათს რუსეთის საკითხის შესახებ. ამ კამათის დამთავრებიდან დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა გაგრძელდება, რის გამოც ბაზარმა დაიწყო უფრო ნორმალური მუშაობა.

**უკრაინის ნოტა ინგლისს.**

**ხარკოვი.** 13 მაისი. 16 მაისს ხარკოვში გაიხსნა სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სასწრაფო სესია, რომელსაც დაესწრენ უღარიბეს გლეხობის კომიტეტები. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რაკოვსკი, რომელმაც წაიკითხა უკრაინის მთავრობის ნოტა ლორდ კერზონისადმი. ნოტაში ნათქვამია: „უკრაინის მთავრობა აცნობებს ინგლისის მთავრობას იმ აღშფოთების შესახებ, რომელიც გამოიწვია უკრაინის მცხოვრებთა მასებში ინგლისის ნოტამ, რომელიც იმუქრება რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო შეთანხმების დარღვევით. უერთდება რა სავსებით რუსეთის მთავრობის ნოტას, უკრაინის მთავრობა მიაქცევს ინგლისის ყურადღებას იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება მოყვეს კავშირის გაწყვეტას ინგლისსა და უკრაინას შორის სამეურნეო ურთიერთობისათვის“.

სრულიად უკრაინის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს უკრაინის მთავრობის მოქმედებას, ადასტურებს სოლიდარობას რუსეთთან და აღშფოთებით აკრავს სამარცხვინო ბოძზე საერთაშორისო რეაქციას.

**რუსეთის საკითხი ინგლისის პარლამენტში.**

**ლონდონი.** 18 მაისი. თემთა პალატაში რუსეთის საკითხზე მსჯელობის დროს, ლოიდ ჯორჯის მდივანმა გრეტმა მოითხოვა, რომ სანამ მთავრობა მიიღებდეს გადაწყვეტილებას რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ, ეს საკითხი მთავრობის მიერ განხილულ იქნეს პალატასთან ერთად. გრეგმა განაცხადა, რომ ტრალერების საკითხში ინგლისი ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა, მაგრამ სხვა საკითხებზე კი შეიძლება მსჯელობა.

მუშათა პარტიის სახელით გრედმა მოითხოვა, რომ თემთა პალატის მუშაობის შეწყვეტის დროს მთავრობამ არავითარ მოქმედებას არ მიმართოს. ამ განცხადებას მხარი დაუჭირა აგრეთვე ლიბერალმა ბენიმ.

მაკ-ნეილმა უპასუხა, რომ ის ვერავითარ დაპირებას ვერ მისცემს ამ საკითხის შესახებ, თუმცა ბონარ ლოუმ კი განაცხადა, რომ ამ საკითხის შესახებ თემთა პალატაში მსჯელობის გაუმართავად რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტა არ მოხდებაო. შემდეგ მაკ-ნეილმა ულტიმატუმის ვადის გაგრძელების შესახებ განაცხადა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხრივ დამაკმაყოფილებელი პასუხი არ იქნება, მაშინ ჩვენი ნოტა მოყვანილი იქნება სისრულეში, მაგრამ არაფერი ისეთი არ იქნება გაკეთებული, რისთვისაც თემთა პალატა მომზადებული არ იყვეს 15 მაისის სხდომის შესახებ.

ამაზე მაკდონალდმა საჩქაროდ პროტესტი განაცხადა და უპასუხა, რომ მაკ-ნეილს შეცდომაში შეჰყავს პალატა, რომელსაც რუსეთთან დამოკიდებულების გაწყვეტა არ გადაუწყვეტიაო.

ლიბერალმა რობერტსმა მოითხოვა, რომ ბალდკინმა მოგვცეს იმის პირობა, რაზედაც მაკ-ლეინმა უარი განაცხადაო, ე. ი. რომ მთავრობის არავითარმა მოქმედებამ არ წაართვას თემთა პალატას სანქციის უფლება.

ბალდვინმა განაცხადა, რომ მთავრობისათვის საჭიროა მოქმედების თავისუფლება, მაგრამ სრულებით საჭირო არ არის, რომ რუსეთმა ნოტა სიტყვა-სიტყვით მიიღოსო.

პალატის სხდომა გადადებულია 28 მაისისათვის.

---

# თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება)

**მიჯნურები და დინასტიური დავალება.**

ფარსადანმა ნესტანის საქმროდ რომ მოიწვია ხვარაზმშას ძე, ნესტანმა უთხრა ტარიელს (ხ. 524): „თუ სიძე შემოუშვა (ინდოეთში), მე შემირთოს“, ეგე ამბად არ ეგემოს, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ ამ მხრივ თვით ტარიელიც დაინტერესებული იყო. ვინაიდგან უძეო ფარსადანის გარდავლენის შემდეგ მხოლოდ მას, ტარიელს, როგორც ფარსადანის გვარეულობის ერთად-ერთ მამრობით სქესის წარმომადგენელს, ეკუთვნოდა ინდოეთის ტახტი. ამიტომ მან სიხარულით მიიღო ნესტანის რჩევა (ხანა 528): „იგი (სასიძო) რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა ჰკადრე თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა: ჩემია მკვიდრი მამული“ მართლაც სასიძო მოჰკლა (542) და ფარსადანს შეუთვალა: „ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი. გიზის ერთაი ქალია. ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ. დამრჩების რა ნაცვალია? სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია!?“

სწორედ ამნაირსავე ყოფაში იყვნენ თამარი და მისი მიჯნური დავითი, რომელსაც გიორგი III-ის გარდავლენის შემდეგ როგორც ბაგრატიონს (ქ. ცხ. 291), ეკუთვნოდა საქართველოს ტახტი.

ბევრს სურდა თამარისთვის შეერთო გარმიანეთიდან მოწვეული ვინმე ხელმწიფის შვილი, მაგრამ, როგორც სჩანს, თამარი მათ უმალავდა თავის მიჯნურობას დავითთან და მაგიერად წინ უყენებდა ბაგრატიონთ საგვარეულო გადმოცემას შესახებ იმისა, რომ ბაგრატიონნი წინასწარმეტყველ დავითის შთამომავალნი არიან და ღვთისაგან აღთქმული აქვთ რა გარდავლენა საუკუნოდ, თანახმად სიტყვებისა: „ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ (ფს. 131—11).

თამარი რომ თავს „იმარხავდა სძლად“ დავითისა (ჩახს. 44), როგორც თვის მიჯნურისა და ამასთანავე ბაგრატიონის, დიდებულთა ერთი ნაწილი, ეწინააღმდეგებოდა მას, გამოდიოდა დავითის მტრად სთვლიდა მას ავადად (ჩახ. 44, შოთა 1222), არაფრად აგდებდა არც დედოფლის მიჯნურობის ფიცს, არც ზემოხსენებულ ზენაარ აღთქმას, იწვევდა მის საქმროდ რუსეთიდან გამოვარდნილ ვიღაც სკვითს და, მიუხედავად თამარის მხნე უარისა, ქმრად როთავდა მას. მაგრამ ამ ნაძალადევ ქმროსნობაშიაც თამარმა არ უღალატა თავის თავს და დრკუ სკვითი რომ მამაცურად მოიშორა, განაცხადა (ცხ. 292): შევირთაო ქმარს, „თუმცა ვინმე იყო **მკვიდრი** საყდრისა ამის ჩემისა“. და შეირთო ასეთი მკვიდრი, დავით სოსლანი „გამორჩეული განგებითა და ნებითა ღვთისათა“ იყო „გვარადცა ბაგრატიონი“ (ქ. ცხ. 291) და ამ ბაგრატიონებისთვის-კი, როგორც აღნიშნავს შავთელიც (ხ. 5) „ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა: „ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“. ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შეძწედა“.

ამ საგვარეულო გადმოცემის ძალით თამარი, გინდ არა ჰყვარებოდა უკანასკნელი ბაგრატიონი დავითი, მაინც ვინმე მისიმიანელზე ვერ გათხოვდებოდა შიშით, რომ ფიცის დარღვევისათვის მას დასჯიდა ღმერთი. ამიტომ, ვიმეორებთ, ქმრად მოითხოვდა ვისმე თვის „საყდრისა მკვიდრს“.

**დ. მიჯნურები და პოეტი.**

მეორე ხანაში შოთა ითხოვს ღვთისაგან, მისცეს მას მიჯნურების გასატანი სურვილი, და ამ სურვილს—კი იგი მწყობრად გაატარებს მთელს პოემაში, თბილად თავს ევლება თავის გმირებს, იცოდებს მათ თავის კეთილშობილურ გულით. მას არა თუ მარტო თვითონ შესტკივა გული ჭანჯულ მიჯნურთათვის, მკითხველებსაც იწვევს შევიდნენ მათს მდგომარეობაში, შეიბრალონ და თვალთაგან ღვარონ ცრემლი მათთვის. ხ. 922: „ლექსთა მკითხველნო! თქვენიმცა თვალნი ცრემლისა მღვრელია: გულმან რა-გლახჭქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია! მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია. ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!“ იგი გამიჯნურებულ ტარიელის ყოფას რომ განიხილავს გონების თვალით, ვით გულს ლახვარ-სობილი ჯდება და მის ამბავს ჰლექსავს (ხ. 7). ცნას, გონებას. ხელოვნებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება, კარგა დახატოს ყოფა-მდგომარეობა მიჯნურებისა და მეგობრებისა (ხ. 6). უმეტესად გული შესტკივა ქართველ მიჯნურთათვის: მათთვის „ხელობს მათთვის მკვდარი, ნატრობს ან მათ უიმედო სიყვარულს დაედოს მალამოდ, ან მას თვითონ გაუთხაროს სამარი (ხ. 15), ითხოვს, მათ ხორცთა დაწვა დასრულდეს კეთილად. მათ სულთ მიეცეს ლხენა.

**2. სპარსული ამბავი**

**ა. ტარიელის და მეფეთა ამბავი.**

შოთას პოემაში ორი ერთად შენასკული ამბავია, ამბავი თინათინ-ავთანდილისა და ამბავი ნესტან-ტარიელისა. ანუ ამბავი მეფეთა (ხ. 1574) და ამბავი ტარიელისა (ხ. 7). ამ ერთად შენახულ ამბებს ეპილოგში ავტორი მოიხსენებს ჯამეულად, ამბობს (ხ. 1574). „ესე ამბავი ხელმწიფეთანი“. წანასიტყვაობაში ამ ხელმწიფეთ გაგვაცნობს სიტყვებით (ხ 6): „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება“ და იქვე გვამცნევს ტარიელის ამბავსაც ა) რუსთაველმა აქამდის ამბად ნათქვამი გავლექსეო (ხ. 7) და ბ) „ისე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო“ (ხ 16).

ვიკითხოთ რა უნდა ყოფილიყო ის ამბავი, რომელიც გალექსა შოთამ?

მარრით ეს ამბავი ყოფილა „Персидская повѣсть“. მაგრამ განა ამბავი რუსთაველის და მის წინადროს იხმარებოდა повѣст-ად, მოთხრობად?

სახარებაში ასეა: ჰამბავი **слух** (მეათე 4—24) ჰამბავი **молва** (იქვე 14—1), ჰამბავი **вѣсть** (საქმე 21—31).

მოსე ხონელი „აბესალომ ჰინდოთ მეფის ამბავს“, ამბავს ამირხანისას და თავის სხვა გმირებისას ასრულებს უწყებით: „აჰა დასრულდა წიგნისა ამის თქმულება, მ. ხონელის მიერ ნასიტყვნი, თამარ მეფის დროს, საკაცობო და სამხედრო ამბავნი“.

სწორეთ ამისთანა „საკაცობო და სამხედრო“ მნიშვნელობის გამო ლეონტი მროველის ცნობილ ისტორიულ თხზულებას არსენი კათალიკოზი უწოდებს ასე: ამბავი მეფეთა“; ამიტომვე პაპუნა ორბელიანს თავის ისტორიისთვის დაურქმევია „ამბავნი ქართლისანი“.

მაგრამ თვითონ შოთა რას ეძახის **ამბავს**, როდესაც გვაუწყებს: „ამბავი როსტევან მეფისა“ (ხ. 37), „ამბავი ვითა მღერა ნარდისა“ (82), „ამბავთა მცნობელი“ (114), „ამბავი შინაური“ (660), „ამბავი მრთელი“ (1337), „ამბავი გრძელი“(1497) „ამბავი უცხო“ (1574), „ამბავი წვრილად“ (671), „ამბავი ავთანდილისა არაბეთს მიქცევისა“ (654), „ამბავი ავთანდილისაგან გულანშარას მისვლისა“ (1039), „ამბავი ნ.-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა“ (1191), „ამბავი მის ლაშქრისა“ (957).

ნუ თუ ამდენი повѣсть-ები დაწერა შოთამ?

არა. ეს ამბავი არის მოკლე რამ უწყება, ცნობა შესახებ ამა თუ იმ პირისა ანუ პირთა, რამე თავგადასავალი, თავს-დატეხილ რისამე შემთხვევის აღწერა ანუ მბობა. სწორეთ ასე ესმის ეს სიტყვა შოთას, როდესაც ტარიელის ანუ „სპარსულ ამბავს“ იწყებს სიტყვებით:

„ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ოდეს ავთანდილს უამბო პირველი“ (იხ. სათაური 300 ხანას წინ).

აქ ტარიელმა თავის „პოვესტი“-კი არ უამბო, არამედ მხოლოდ თავის თავგადასავალი გააცნო მბობით.

მაშასადამე, დავასკვნით ჩვენ, საქართველოში ტრიალებულა რაღაც ცნობა, რაღაც ამბავი, მაგრამ ეს „სპარსული ამბავი“ თუ ცნობა ყოფილა შესახებ ტარიელის თავს—დატეხილ უბედურებისა (იხ. ხანა 7), იმ საზარელ უბედურებისა, რომელშიაც ჩავარდა იგი ხვარაზმშას შვილის მოკვლის გამო და რომლის ვითარებაც მან გააცნო მასთან მისულ ავთანდილს (ხანები 300—640).

ინდოეთის იმპერატორს ფარსადანს ექვემდებარებოდა შვიდი სამთავრო-სამეფო. თვითონ უშვილო იყო და მემკვიდრეთ ზრდიდა ერთერთ მთავრის (სარიდანის) ძეს ტარიელს, რომელიც ჩამომავლობით მისივე გვარისა იყო (ხანა 308). მერე ფარსადანს ეყოლა ქალიშვილი ნ.-დარეჯანი. რომ გაიზარდა, მას გაუმიჯნურდა ტარიელი: ცოლ-ქმრობის ფიცით შეიფიცნენ (ხ. 399). ამ ხანებში ფარსადანმა თავის ქალის საქმროდ მოიწვია ხვარაზმშას შვილი. ესეთი მოწვევა ტარიელს უქადდა არა თუ მიჯნურის დაკარგვას, არამედ თვით ინდოეთის ტახტისაც, რომელიც უძეო ფარსადანის გარდავლენის შემდეგ უფლებით ეკუთვნოდა მხოლოდ მას. ნესტანის რჩევით ტარიელმა მოჰკლა დიდის დიდებით მობრძანებული სასიძო. აირია ინდოეთის საქმეები. ნესტანი გაიტაცეს. მიკვალს ჩაუდგა ტარიელი. ბევრი ეძება, ვერ იპოვნა. ინდოეთს ველარ დაბრუნდა, რადგან იქ არავინ შეუშვებდა. ამიტომ შეიმალა სადღაც მიყრუებულ მთის გამოქვაბულში და იქ ნესტანის „ნაჭვრეტის“ ასმათის თან-ყოლით ჰლევდა დრო-ჟამს, გამწარებული ცალკე მიჯნურის დაკარგვით და ცალკე საიმპერატორო ტახტისა.

ეს არის და ეს „სპარსული ამბავი“, უკეთ ვთქვათ, ტარიელის ამბავი, რომელიც, ვიმეორებ

**ბერლინი.** 17 მაისი. გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ კომენტარიებს უკეთებს ინგლისის თემთა პალატაში რუსეთის საკითხის შესახებ წარმოებულ კამათს და აღნიშნავს მას, როგორც საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებას.

**პარიზი.** 18 მაისი. საფრანგეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებს სურთ, როგორც სჩანს, ინგლის-რუსეთის კონფლიქტში ჩარევა. „ტან“-ის შემდეგ საფრანგეთის კრასინსა და კერზონს შორის მოლაპარაკებაში ჩარევის აზრს გამოსთქვამს აგრეთვე გაზეთი „ინფორმასიონი“. „ინფორმასიო“-ნი აღნიშნავს, რომ ინგლისისა და რუსეთის კრიზისის გადაჭრაში დაინტერესებული არიან ყველა ევროპიული სახელმწიფოები და არც რუსეთისათვის და არც ინგლისისათვის განხეთქილება სასარგებლო არ არის.

# ახალი ამბები

— **ქალაქ გორის აღსადგენათ.** ქალ. გორის აღმდგენელი მთავარი კომიტეტი ფართოთ აწყობს შემოწირულებათა შევსებას. შემოწირულებათა აკრეფა. შემოწირულებათა აკრეფის დასაჩქარებლათ არჩეული არის სპეციალური კომისია მთავარი კომიტეტის ფონდის შესაქმნელად. კომისიაში შედიან: ამირაჯიბი, ა. მუხრანსკისა, მ. ემიროვი, ე. ერისთავი, ნ. კლეისტ-მირიანოვი, ლომჯანიძე, ფიცხელაური და იაშვილი. კომისიის წევრებს ევალებათ ყველა დაწესებულებებისა და სამრეწველოების ჩათვლა და შემოწირულების შეკრეფა. სულ დღემდე შემოსული არის 25000 მანეთი ოქროთი, 10 ჩერვონეცი და 500 მილაონი ამიერ-კავკასიის ბონებით. შემოწირულების მიღება გრძელდება. მთავარი კომიტეტი მოთავსებული არის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3).

— ოთხშაბათს მაისის 23 სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირი იღებს კულტფობას ქართულ დივიზიაზე და საქართველოს ფარგლებში მყოფ კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის ნაწილებზე.

დილის 11 ს. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა კავშირის პლენუმის და წითელარმიელთა მონაწილეობით.

12 საათზე რუსთაველის პრ. (მუშათა სასახლის წინ) გაიმართება აღლუმი.

საღამოს წითელარმიელთა ყველა კლუბებში და განათლების მუშაკთა ც. სახლებში გაიმართება კონცერტი.

— **შრომის ბირჟა.** 21 მაისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 1104 უმუშევარი. აქედან ქალი 381, კაცი—723, ახალი უმუშევარი 162, ქალი 65, კაცი 97. მოთხოვნილება იყო 181. მამაკაცის 174, ქალის—7. გაიგზავნა 74. მამაკაცი 47, ქალი 27. აღდგენილია უფლებაში—2.

— **გადასახადი საძოვარ ადგილებზე.** პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქის საძოვარ ადგილებზე განსაზღვრული გადასახადი გამვლელ საქონლისათვეს შემცირებულ იქნას 50 პროცენტით, ე. ი. დაწესდეს თვითეულ სულზე: ა) ძროხაზე, ფურ კამეჩზე, კამეჩზე და ხარზე—5 კაპ. ბ) ხბოზე და ზაქზე—2 ნახ. კაპ. გ) ცხვარზე—1 ნახ. კაპ. დ) ღორზე და თხაზე—2 ნახ. კაპ. ე) ვირზე და ცხენზე—5 კაპ.

— **ციება კახეთში.** ჯანმრთელობის კომისარიატი კახეთის სახ. მამულების (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული) მმართველობისაგან მოუვიდა ცნობა ხსენებულ მამულებში მომუშავეთა შორის ციების გავრცელების შესახებ. მოითხოვენ ქინაქინის და საექიმო დახმარებას.

— **ექიმობის უფლება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა საზღვარ-გარეთიდან საქართველოში მოსულ ექიმებს, რომელთაც სურვილი აქვთ ადგ. მუშაობის—მოეთხოვოს სათანადო მოწმობა (დიპლომი), რომლის შემოწმების შემდეგ უფლება მიეცემა მუშაობისა.

— **ულუფის ფასი.** სასურსათო კომისარიატის დადგენილებით სახ. დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მომარაგებაზე არიან აყვანილნი მაისის ულუფათ დაურიგდებათ თითო ფუთი ყუბანის ფქვილი. ფუთი 1,120,000 მანეთი, ადგილობრივი — 988,000. ყუბანის ხორბალი — 910.000 მან. ადგილობრივი—840,000 მან.

— **ქალაქის წყაროების გაწმენდა.** ქალაქის აღმასკომმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები გვირაბთან არსებულ წყაროს გასაწმენდათ და გასაჯანსაღებლად.

— **შტატების შემცირება.** აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით პოლიტგანათლების ქვეგანყოფილებაში და მის ქვემდებარე დაწესებულებაში შემცირებულ იქნა შტატები. 176 კაციდან შტატი შემცირდა 80 კაცამდე.

— **კარსანის აგარაკების შეკეთების შესახებ.** პრეზიდიუმის დადგენილებით აღნიშნული აგარაკი მიეცა რკინის გზის სამმართველოს 2 წლის ვადით სრულიად უფასოდ იმ პირობით, რომ შეაკეთოს აგარაკი ტეხნიკურ კომისიის მიერ გაცემულ გეგმის თანახმად.

— **დახმარება.** ამხ. გოგნიევს, რომელიც დაჭრილ იქმნა ყაჩაღებთან შებრძოლების დროს, მიეცა ერთდროული დახმარება 20 მილ. მან. სახით.

— **ბირჟა.** ბოლო დღეებში ოფიციალური კურსი ვალიუტაზე აღარ აწეულა.

ფასების აწევაც სურსათ-სანოვაგეზე შეჩერდა.

# პარტიაში

ოთხშაბათს, მაისის 23, დღის 2 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია 4, 2 და 3 რაიკომების შეერთებული სხდომა. გასარჩევია ფრიად საგულისხმო საკითხები. დასწრება რაიკომების წევრთათვის სავალდებულოა.

— ოთხშაბათს, 23 მაისს საღამოს 7 საათზედ მთავარ კლუბში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია უმუშევარ ამხანაგების საერთო კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

**უმუშევართა კომისია.**

---

ავს დაატყდებოდა გამოუცდელ და შორს-განუჭვრეტელ 17—18 წლის ჭაბუკ ტარიელს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ხვარაზმს შაობა დააწესა პირველმა ხვარაზმშა აზიზმა (+1156 წ.)

მაგრამ ამ ამბის ერთი წვერიც ჩნდება მაშინ, როდესაც ფრიდონთან ძმად გაფიცული ტარიელი მის-მიერ ნაჩუქარს შავ რაშით მოაღწევს „არაბეთს“, მოეჩვენება აქაურ მეფეს და ისევ გაუჩინარდება, მაგრამ ეს მოსვლა მიიზიდავს ავთანდილს და „სპარსული ამბავი“ გაინასკვება არა თუ ტარიელავთანდილის ერთურთთან მარტო ძმად გაფიცვით, არამედ ერთურთისთვის თავდადების აღთქმითაც (სტანები 646, 650, 684).

**ბ. ქართულად ნათარგმანებ სპარსული ამბების პოვნა.**

მაგრამ სად იპოვიდა შოთა სპარსულ ამბავს, რას მოითხოვდა ამ ამბის ავტორი და ვინ გადმოთარგმნიდა მას ქართულად?

ყველა ამ კითხვების შესაცნობათ გვეხმარება მატიანის (ქართ. ცხოვრების) ცნობები შესახებ თამარის მამიდის რუსუდანისა.

ეს რუსუდანი სწორეთ ხვარაზმშაობის დადგენის ხანებში დედოფლობდა „ინდოეთის შვიდ სამეფოში“, სახელდობრ ერაყ-ხვარასანს. თავის ძმის გიორგის მეფობაშივე (1155—1184) დაქვრივებული იყო, ჯერ ისევ 1161 წლის დაბრუნებულიყო საქართველოს და აქ ზრდიდა თამარსა და დავით სოსლანს. შინ მყოფობისას პოლიტიკაშიაც იღებდა მონაწილეობას. 1161 წელს გიორგი მეფემ აიღო ანისი, სულთანი დიდის ძლიერებით წამოვიდა რომ დაიბრუნოს წართმეული ქალაქი. მაგრამ შეტაკება არ მოხდა, რადგან სულთანსა და ძმას გიორგის შორის ჩამოდგა „სულტნის ცოლყოფილი“ რუსუდანი და აგრეთვე ელდიგუზ ათაბაგი და ამათ შუაკაცობით „შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ-რაოდენმე“ (ქ. ცხ. 271).

ამავე რუსუდანმა მოაწყო თამარისა და დავით სოსლანის შეუღლება და ქორწილი. (ქართ. ცხ. გვ. 292) ამბობს: „ქნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდედობისა მათისა: ვინაჲთგან დედოფალი რუსუდან, ყოვლითა სიბრძნითა აღსავსე, მოქმედებდა და მსგავსებდა ბაგრატიონთა გვარ-ტომითა აწყობდა რიგთა სახლისათა და ქვემოდ ხვარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, ბუნებრივთა სახიობათა და შვებათა მოქმედებდა“.

და, მართლაც, რუსუდანს იქ, ერაყ-ხვარასანს შეძლება ჰქონდა დიდად გამეცნიერებულ იყო: იქ მოქმედებდა უდიდესი აკადემია, ცნობილი მსოფლიო ისტორიის მიერ, იქ უკვე მოქმედებდა ახალი წელი აღრიცხვა, ეგრედ წოდებული „ჯელალ-ედდულა-ვე-ედდინა“, იქ მეცნიერება ააყვავა ოთხმა უდიდესმა მამულიშვილმა, ხაიერამმ ხვარასანში, აბუსაიდმა და სხვ. ყველა ამათი მფარველები იყვნენ სელჩუკიანი სულთნები, მალიქმა, სანჯარი და სხვ.

აი ამ რუსუდანს არ დაავიწყდებოდა თვისი ქმროსნობის დრო ერაყ-ხორასინს, შეუძლებელია არ სცოდნოდა, როგორ მიდიოდა იქაური ამბები და, რაღა თქმა უნდა, არ გამორჩებოდა ისეთი შედარებით, თვალთსაჩინო შემთხვევა, რომელიც ხვარაზმანას შვილის მოწვევის გამო მოხდა ფარსადან სულთანის კარს ტარიელის აჯანყებით. პირად ჩვენ გვეჯერება, რომ სულტნის ცოლყოფილ რუსუდანს ნაცნობობა თუ ნათესავობა ჰქონოდა თვით ტარიელთანა და ფარსადანთან.

„ესე ამბავი სპარსულის“ დასაწყისს შოთა იპოვიდა მხოლოდ ამ რუსუდან დედოფალთან და მისგანვე გაიგებდა შინაარს იმ ეპისტოლისას, რომელშიაც იქნებოდა მოკლე რამ ცნობები შესახებ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მოკვლისა, ნესტანის გატაცებისა და ტარიელის გაუბედურებისა. ჩვენ ვფიქრობთ, ამ ცნობას შემწეობის აღმოჩენის თხოვნითურთ მოიტანდა თვითონ ტარიელივე მაშინ, როდესაც შავი ცხენით გამოჩნდა „არაბეთის“ პირს და მალე ისევ გაუჩინარდა, ხოლო სრულ „სრულ სპარსულ ამბავს“ ანუ „ტარიელის თვგადასავალს“ მისგანვე შეიტყობდა ავთანდილი და მოიტანდა სამშობლოში, და აქ „ლექსად გარდაჰქმნიდა“ მას პოეტი შოთა.

მკვლელობის გამო იგი ჩავარდა ისეთ ყოფაში, რომ მისთვის საჭირო შეიქმნა ძლიერი შემძლის მოძებნა, რათა როგორმე გამოებრუნებინა საქმე. და რომ იგი შემწეებს ეძებდა, ამას ნათელს ჰფენს შოთას სიტყვები (ს, 6): „შევეწივნეთ ტარიელს“. და 80.000 „არაბი“. მეომარიც დაიძრა ომის საშველად...

**მ. ჯანაშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

# ეკონომიური ცხოვრება

**უცხოეთი.**

**ბამბის მსოფლიო ბაზარი.** იანვარში შემჩნეული კრიზისი ბამბის ბაზარზე უკვე დასრულდა. ბამბის ფასები უკანასკნელი თვის განმავლობაში, შეერთებული შტატების მთავარ საქონლის ბირჟებზე, აიწია. ეს გარემოება გამოწვეული არის ბამბის ნაკლებობით, რომელიც, სპეციალისტების თქმით, მალე კიდევ უფრო საგრძნობი გახდება. ამ მოსაზრებების მიზეზები შემდეგ გარემოებებზე არის დაფუძნებული: შემჩნეული არის ბამბის მოხმარების არაჩვეულებრივი ზრდა და ამას გარდა, ამერიკის ბამბას მეტად რეალურ საფრთხეს უმზადებდენ მავნეები, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მტრად გაუჩნდნენ სამხრეთ და შუა ამერიკის ბამბის კულტურას. ამას უნდა მიუმატოთ აგრეთვე მუშა-ხელის ნაკლებობა და მაშასადამე. სამუშაო ხელფასის ზრდა, რომელიც გამწვავებული არის ნეგრ-მუშების გადასვლით უკეთეს ხელფასთან წარმოების დარგებში. ყველა ეს გარემოებანი ხელს უწყობენ ნედლი ბამბის ფასების ზრდას საერთაშორისო მაშტაბში, თავისი მხრით გაცხოველება გამოიწვია აზიის ბამბის ბაზარზეც, რის გამოც თანდათან ხდება ფასების გათანასწორება. ჯერ-ჯერობით მყიდველები მიმართავენ უფრო იაფ ბაზრებს —ინდოეთის და ეგვიპტისას. აზიის მოთხოვნილების უდიდესი ნაწილი იაპონიაზე მოდის, რომელმაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბამბის შემოტანა სამჯერ გაადიდა. ფასების მაღალ დონის გარდა, ამერიკული ბამბის მოთხოვნილების შესუსტებას ხელს უწყობს აგრეთვე ინგლისის პოლიტიკა, რომელსაც სურს გააძევოს ამერიკის ბამბა და შესცვალოს ის თავისი კოლონიებისა და ბრაზილიის ბამბით. ინგლისის საქსოვი ინდუსტრიის განვითარებისთვის მეტად დამახასიათებელი არის ნედლი ბამბის შემოტანის ზრდა. 1922 წელს, მაგრამ ეს შემოტანა 34 პროცენტით მაინც ნაკლები არის 1913 წლის შემოტანაზე.

— **იტალიის ეკონომიური მდგომარეობა.** იტალიის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც ჯერ კიდევ ფაშისტების გაბატონებამდე დაიწყო, ამჟამათაც გრძელდება. ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა იმდენათ განმტკიცდა, რომ თითქმის შეწყდა ის საბანკო კრიზისი, რომელიც 1920 წლის ზაფხულზე დაიწყო. ეს გაუმჯობესება სხვათა შორის ბანკნოტების შემცირებითაც გამოიხატა—1.200.000.000 ლირით, მართალი არის სახელმწიფო ბიუჯეტი ჯერ კიდევ დეფიციტით არის, მაგრამ ამ მოვლენისა ერთი სერიოზული მიზეზთაგანი საგარეო დავალიანების მოუწესრიგებლობა არის. გასულ წელს საგარეო ვაჭრობის ბალანსის პასივობამ დაახლოებით 6.000.000.000 ლირამდე მიაღწია. საერთოდ გატანაც და შემოტანაც გაიზარდა.

იმპორტისათვის დამახასიათებელი არის ის რომ მისი ზრდა გამოიხატება ნედლ მასალების და ნახევრად ფაბრიკატების შემოტანის გაძლიერებაში რომელიც საჭიროა დამმუშავებელ მრეწველობისათვის. მეორე მხრით,—გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გზა ფაბრიკატების ექსპორტი უმუშევრობამ საგრძნობლად იკლო, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაცია შემცირდა. იტალიის მრეწველობის ცალკე დარგების მდგომარეობა შემდეგნაირია. აბრეშუმის მრეწველობის კრიზისი შესუსტა შეერთ. შტატებიდან მოთხოვნილების გამო. რაც შეეხება ხელოვნურ აბრეშუმს, ამ მხრივ იტალია განიცდის ნამდვილ აყვავების პერიოდს და ვერ ასწრებს უცხოეთის ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მრეწველობის ამ დარგში მოქცეული არის უკვე 1.000.000.000 ლირა. საკმაოდ კარგად მუშაობდა გასულ წელს შალის მრეწველობა; დიდი შენაკვეთები იქნა მიღებული უცხოეთიდან და მხოლოდ ოქტომბრიდან შეამცირეს მუშაობა რამოდენიმე საქსოვმა ფაბრიკებმა, ფასების დაცემის გამო. რკინის მრეწველობის მდგომარეობა შემდეგნაირათ ხასიათდები: წინა წლის უმუშევრობამ მუშები დათმობამდე მიიყვანა ხელფასის მხრით. ამან საშუალება მისცა მრეწველებს ფასების განსაზღვრულ დონემდე დაწევისა. ამავე დროს მრეწველებს შორის შეთანხმება მოხდა, რათა არ ყოფილიყო დაწეული ფასები განსაზღვრულ დონის ქვევით. ასეთი გარემოების გამო იტალიის რკინის მრეწველობამ შესძლო წარმოების აწევა, რომელიც ამ ჟამათ ინდუსტრიის ამ დარგის საერთო საწარმოო უნარს სამ მეოთხედს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაღება რამოდენიმეთ დაეცა; სარკინისგზო ტრანსპორტის მასალების დამმზადებელ წარმოებებს შეკვეთები უცხოეთიდან ქონდათ. ავტომობილის მრეწველობა იძულებული იყო შეემცირებია თავისი წარმოება უმთავრესად ბაჟების გადიდების გამო მთელ რიგ სახელმწიფოებში და თვით ლირებულების გადიდების მეოხებით. სამაგიეროთ დიდი სიცხოველე იყო მფრინავი აპარატების წარმოებაში, მთავრობის მსხვილი შენაკვეთების გამო. სერიოზულ კრიზისს განიცდიდა იტალიის გემის მშენებელი მრეწველობა, რომლის მიზეზი დაბალი ფრახტები იყო და მით გამოწვეული დაცემა ფასებისა გემებზე. ბრავალი ვერფი წარმოების სხვა დარგზე გადავიდა ამ გარემოების გამო. გვარიანათ მუშაობდა ქაღალდის მრეწველობა. შუშის მრეწველობა დიდ კონკურენციას განიცდიდა ჩეხო-სლოვაკიისა და გერმანიის მხრით. საერთოდ, იტალიის როლი, როგორც სამრეწველლო ქვეყნისა, თანდათან მტკიცე ხდება.

# მოვცეთ საბჭოში ბჭობის საშუალება.

ვინც ტფილისის მუშათა საბჭოს სხდომებს დასწრებია, არ უნდა თქმა, მას თვალწინ წარმოუდგებოდა არა მეორე ხარისხოვანი სახელმწიფო საკანონმდებლო საბჭო, არამედ ეკლესია, სადაც გაისმის მხოლოდ მღვდლის და დიაკვნის გაუგებარი ალილუია და მრევლი სულ განაბული უსმენს. ასევეა საბჭოში: იქ გაისმის მხოლოდ მომხსენებლების ჭიკჭიკი, დეპუტატები კი სდმუან და მყუდროებით არის მოცული დარბაზი.

რა არის ამის მიზეზი?

უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საბჭოში მოხსენებებს რუსულად კითხულობენ და იქ მყოფი ქართველი დეპუტატები მოკლებულნი არიან საშუალებას კრიტიკა გაუკეთონ მოხსენებულს, რადგან ქართველებს უცხო ენაზედ უძნელდებათ გაგება და მით უფრო კრიტიკა. აბა როგორ უნდა გააკრიტიკოს იმ ადამიანმა, რომელსაც ნათქვამი ხეირიანად ვერც კი გაუგია? სამართლიანად აღნიშნავს გაზეთ „ტრიბუნა“-ს № 468-ში საბჭოს წევრი დ. მ—ლი ამ არა ნორმალურ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოში ქართული, ე. ი. სახელმწიფო ენის შესახებ, სადაც „ბალატიროვკაზე“ აყენებენ ქართული ენის დაშვების საკითხს. საბჭოში რომ სოლოლაკის არისტოკრატები და ბრწყინვალე თავადაზნაურები ისხდნენ, ამ შემთხვევაში, გასამართლებელი იქნებოდა რუსული მოხსენებები, მაგრამ, როდესაც იქ ვსხედვართ სოფლის და ქალაქის მუშები, რომლებსაც უფრო გვემარჯვება ჩვენი დედაენა, აქ რასაკვირველია, ვერ შეუძლიანთ წარმოადგინონ გასამართლებელი საბუთები სხდომის რუსულად წაყვანისა.

თუ კი დღეს მუშათა ხელისუფლებაა, ამ შემთხვევაში ხომ შეურაცხყოფას ვაყენებთ იმ ხელისუფლებას და იმ ერს, რომლის სატახტო ქალაქშიაც ეს ხდება, როდესაც ქართული ენის საკითხს ბალატიროვკაზე ვაყენებთ, ცხადია, ამ ენის საკითხი გადაუწყვეტელი ყოფილა. წინასწარ ვიცი, ამ წერილის გამო ბევრი შოვინისტობას დამწამებს, მაგრამ ამით საკუთარ შოვინისტობას გამოამჟღავნებს მხოლოდ. თავის შოვინიზმის დასაფარავად ჩვენი შოვინისტებათ მონათვლა, ჩვეულებრივი ხერხი იყო და არის დღემდის, მაგრამ აწი ვგონებ ამას გასავალი აღარ ექნება.

საბჭოს წევრი **ვარლამ ჩლაიძე.**

# საუბარი გლეხთან

**6. მრეწველობა, შეერთებული მიწათ-მოქმედებასთან**

**ფრანგთა მებოსტნეობა.**

ხომ ნამდვილი სასწაულებია წინა ნომრებში მოყვანილი მაგალითები, მაგრამ უნდა გაიცნოთ მებოსტნეობა დიდრონი ქალაქებისა, რომ უფრო მეტი სასწაულები ნახოთ. ავიღოთ, მაგალითად, პარიზის გარშემო მდებარე ბოსტნები, აქ სთესავენ თესლს სათბულებში ჯერ ნეხვის მოსაყვანად, როგორც ეს ჩვენში კომბოსტოსთვის იციან. როცა ამოვა, არჩევენ საუკეთესო ნერგებს და რგავენ საუკეთესოთ მომზადებულ მიწაში იმავ სათბულებში, სადაც ნერგი ხელად ხარობს (მიწის სინოყიერისა და სითბოს გამო) და ადვილათაც უვლიან (ჰმარგლავენ და რწყავენ), რადგანაც მცირე მანძილზეა აქ ყველაფერი დარგული. ამის შემდეგ გამოაქვთ ღია ჰაერზე და ახლა აქა რგავენ, სადაც რჩება მოსავლამდის მოვლა, რა თქმა უნდა, არ აკლია, ყოველ მცენარეს თითქმის ცალკე უვლიან. ახლა, ნუ გგონიათ, რომ პარიზის მებოსტნეები მარტო პარიზს აწვდიან მოსავალს; არა, ეს უწინ იყო, როცა გზები არ ვარგოდა; ეხლა კი ესენი თვით ლონდონსაც აწვდიან ყველა ბოსტნეულს! გამოდის, რომ ქალაქის სიახლოვეს აქ მნიშვნელობა არა ჰქონია, თუ კი აგრე შორსაც აგზავნიან მოსავალს. მაშ რად ეტანებიან მებაღეები და მებოსტნენი დიდრონ ქალაქებს! რათა და იმიტომ, რომ აქ თითქმის მუქთად იშოვება აუარებელი მასალა მიწის გაპოხიერებისათვის და უმთავრესად კი ნეხვი, რომლითაც ესენი ადიდებენ სინოყივრეს და სითბოს თავიანთ ნიადაგისას! ადრეულა ბოსტნეული, როგორც ვიცით, გაცილებით მეტ ფასში იყიდება და აი ესენიც ბლომად აყრიან მიწას ნეხვს (მაგ. ურევენ ერთმანეთში ნახევარ მიწას და ნახევარ ნეხვს), ნეხვი იხრწნება დუღს, (როგორც ჩვენში მაჭარი) და აჩენს სითბოს, ათბობს არა მარტო ჰაერს, არამედ თვით ნიადაგსაც, ხმარობენ ამავე მიზნით რკინის მილებსაც ცხელი წყლით, რომლებიც ისეა გამართული, რომ ადვილად შეგიძლიანთ გადაიტანოთ აქა-იქ საჭიროებისამებრ. არც ამით კმაყოფილდებიან და თან სთესენ (ამრავლებენ) მიკრობებს, რომლებიც აჩქარებენ ნეხვის გახრწნას და დამიწებას. ნიადაგის შესახებ რომ ვსთქვით, რომ ნიადაგს ესენი ხელოვნურად აკეთებენ. ამიტომ, როცა სხვა ადგილას გადადიან, სათბულები რომ გადააქვთ, თან მიწაც გადააქვთ, ისე ძვირფასია მათთვის თავის შრომით გაკეთებული ნიადაგი. ასეთია მებოსტნეობის სასწაულები. მომყავს სხვა სასწაულებიც წიგნებიდამ.

აი წიგნი ვინმე პონსისა „ბალი-ბოსტანი“. „ბალი-ბოსტანი“ შეიცავს მარტო ერთ დესეტინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემზადება დამჯდარა 11.600 მანეთი ორთქლის მანქანითურთ სარწყავად. „ბალ-ბოსტანს“ ამუშავებდა რვა კაცი, მათს რიცხვში თითონ პონსიც იყო. მწვანილს ეზიდებოდენ პარიზში ცხენით და როცა ბრუნდებოდნენ, თან მოჰქონდათ სასუქი, რომელშიაც წელიწადში აძლევდნენ ას თუმანს. ამდენივე იხარჯებოდა იჯარაზე და გადასახადზე, მაგრამ ყველა წვრიმალს ხომ ვერ ამოვწერ, მომყავს მარტო უმთავრესები. ის ერთი დესეტინა მიწა აძლევდა პატრონს 20 ათას გირვანქა სტაფილოს (500 ფ.), ამაზე მეტს ხახვს; ექვსი ათას თავს უბრალო და სამი ათას ყვავილოვან კომბოსტოს; ხუთი ათას კალათა პამიდორს და სამოცი ათას ცალს გადარჩეულ პამიდორს; 154 ათას თავს სალათას, ერთი სიტყვით, „ბალი-ბოსტანი“ აძლევდა პატრონს წელიწადში 250 ათას (6.250 ფუთს) სხვა და სხვა მწვანილს და გარდა ამისა სათბულების მიწას ყოველ წელს იმდენს ამზადებდნენ, რომ ჰყიდიდნენ 500 კუბიკურ არშინს.

პენსოს მსგავსი „ბალი-ბოსტანი“ ერთად-ერთი როდია. ამისთანა „ბალ-ბოსტნებით“ სავსეა პარიზის არემარე და რომ ყველას დიდი შემოსავალი აქვს იქიდამ სჩანს, რომ, იმ დროს, როცა ლონდონის არემარეში დესეტინა მიწის იჯარა 100—150 მანეთია, პარიზისაში—800 და მეტი მანეთია. პარიზის გარშემო ამ გვარად მუშავდება 800 დესეტინამდე და მუშაობს 5 ათასი კაცი. ამათი მოსავლით იოლათ მიდის არა მარტო პარიზი, არამედ ლონდონიც კი, თქმულიც ცოტაა. მსგავსი მეურნეობა სულ ოცი ორმოცი წელიწადისა, რაც ხმარებაში შემოვიდა, თორემ უწინ სულ დაქვეითებული იყო იგი, როგორც სხვა ყველაფერი. ასეთივე სასწაულებია დღეს მებაღეობაში, იქვე პარისში. მებაღეებმა ისეთი ბაღები გააშენეს ხელოვნურად, რომ მთელი წლის განმავლობაში გამოულეველად აწვდიან პარიზს ყურძენს და სხვა ხილს თუ ყვავილებს, გეგონებათ პარიზი სადმე ტროპიკში (ცხელს ქვეყნებში) ძევს და არა საფრანგეთშიო.

მაგრამ პარიზის მებაღე და მებოსტნე მაინც ჩვენი იდეალი არ არის,-ამბობს კრაპოტკინი. ისინი ისე არიან საყვარელ საქმეებში გართულნი, რომ დღე-ღამე და თვით ცოლშვილი არ გააჩნიათ ამათი ცოლშვილი მათი ბაღები და ბოსტნებია, ამათ არა აქვთ დრო იცხოვრონ კაცური ცხოვრებით, გაიხარონ კაცური სიხარულით...

ჩვენი მიწად-მოქმედების მიზანი სულ სხვა არის. ჩვენი მიზანია, რომ ადამიანს მუდამ მეტი შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ ნაკლები შრომით, რათა იგი კვლავაც ადამიანად რჩებოდეს და შეეძლოს ადამიანთა სიხარულით ზიარება. და როგორც ვნახეთ ყველა ეს ყოვლად შესაძლებელია, აქ არაფერია შეუძლებელი...

როგორც მკითხველი დაინახავდა, ახალს მეურნეობაში ახალი და უმთავრესი ის არის, რომ **შევქმნათ მცენარისთვის საუკეთესო ნოყიერი მიწა. შესაფერი სითბო და ნამი.** ამიტომ ჩვენი ყურადღებაც სავსებით მხოლოდ ამ სამ რამეზე უნდა იყოს მიპყრობილი. ნიადაგის გაკეთება სულ უბრალო საქმეა, აგრეთვე სითბოს შექმნა; საჭიროა გვქონდეს მხოლოდ საკმაო ნეხვი, რომელიც ერთ და იმავე დროს ანოყივრებს კიდეც, რის გამოც მიწას ემატება ასჯერ მეტი მომცემი ძალა. რაც შეეხება ნამს, ესეც ხომ დაუძლეველი საქმე არ არის და ყველას შეუძლიან, თუ მდინარე არა აქვს, თოვლისა და წვიმის წყლების ტბები ანუ ამბრები გააკეთოს და ამ სახით თავის მცენარეებს გამოულეველი ნამი გაუჩინოს...

თქმულის შემდეგ. ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ **სამას** კაცს სულ ადვილად შეუძლიან იცხოვროს ერთ კვადრატულ ვერსზე ანუ სამი ათას კაცს ათას დესეტინაზე, რომ ზომიერი შრომით მოიყვანონ მასზე ყველა საპურე, სატეხნიკო და სახორცო მცენარეები, ე. ი. პური, სიმინდი, ფეტვი, ქერი, ბამბა, სელი, მატყლი, აბრეშუმი, იონჯა, ტყავები და სხვა. დამუშავება და მოვლა ასეთს მამულს, რასაკვირველია, ისე და იმ საფუძვლებით უნდა, როგორც ზემოთ ავწერეთ.

**ივ. როსტომაშვილი.**

ნანტი ამტკიცებს, რომ ქარხნის კომიტეტის წევრმა მიულლერმა არ მიიღო ზომები ბრბოს დასამშვიდებლადო,—სასამართლომ მიულლერი დაატუსაღა.

— **1 მაისი ჩინეთში.** პირველი მაისი ჩინეთში პირველად იქნა აღნიშნული მასსიური კრებ[...] პეკინში; კრებებზე მიღებულ იქმნა რეზოლიუც[...] მილიტარიზმის წინააღმდეგ [...] დღის სასარგებლოდ.

## ხელოვნება

სახალხო სახლის საიუბილეო კომიტეტის სამხატვრო კომისიამ გადასწყვიტა იუბილეის დღეს სახალხო სახლში დასდგან ნაწყვეტები. სახალხო სახლის სარეპერტუარო პიესებიდან. ამასთანავე დაიდგმება აპოთეოზი ნათამაშებ პიესების ტიპებისა. პიესებს დასდგამენ: კ. მარჯანიშვილი, შ. დადიანი და კ. ანდრონიკაშვილი. ამასთანავე ამ დღისთვის გამოვა საგანგებო საიუბილეო კრებული. რომლისთვისაც ნივთიერი დახმარება აღუთქვა სახელმწიფო გამომცემლობამ.

ივ. გომართელმა დასწერა ახალი პიესები ოჯახის მყუდროებისათვის. კომედია 3 მოქმედებად და ვოდევილი 1 მოქმედებათ „ისინი-არიან“ ავტორმა პიესები გადასცა სახალხო სახლის ქართულ დრამის გამგეობას განზრახულია პიესების მოკლე ხანში წარმოდგენა.

ვ. ბუთლიაშვილი სწერს მხიარულ აგიტ-პიესას. მონასტრის მამათა ცხოვრებიდან „**ეპისკოპოსი ვართანა**“ სასიმღერო კუპლეტებით.

### უცხოეთი.

— **მაქს ლინდერი.** საფრანგეთის პოლიციამ სამხრეთ საფრანგეთში დაატუსაღა ცნობილი კინო-არტისტი მაქს ლინდერი, რომელმაც მოიტაცა საფრანგეთის ერთ არისტოკრატიული ოჯახის ქალიშვილი. საფრანგეთის პრესა ამ „შემთხვევას“ მეტად დიდ ყურადღებას აქცევს.

— **მუსიკალურ ინსტრუმენტების სიძვირე გერმანიაში.** მარკის გაიაფებას გერმანიაში, სხვათა შორის მუსიკალური ინსტრუმენტების გაძვირებაც მოყვა; ამ გარემოებამ თავისი მხრით გავლენა იქონია მუსიკის შემსწავლელთა რიცხვის შემცირებაზე გერმანიაში, რომელიც მუსიკის კლასიკური ქვეყანა არის. ჩვეულებრივი პიანინოს ქირის ფასი ამ ჟამათ 10.000 მარკა არის თვეში, თუ კი იმის შესახებ არ ვილაპარაკებთ, რომ მისი ბინაზე გადატანა 30--40.00 მარკა დაჯდება. არა ნაკლებ ცუდათ არის ვიოლონების საქმე: ერთი სიმი 2000 მარკა ღირს. ამას გარდა საშინლად გაძვირდა ნოტები: ბეთხოვენის სონატების ყველაზე იაფი გამოცემა 20.000 მარკა ღირს. ზოგიერთი ინსტრუმენტები (ვიოლონჩელი და სხ.) მილლიონი მარკები ღირს.

ასეთ გარემოებებში საკვირველიც არ უ[...] იყოს, რომ მუსიკის შემსწავლელთა რიცხვი გე[...] ნიაში კლებულობს, მიუხედავათ იმისა, რომ მა[...] ერთ მეხუთედს უცხოელები შეადგენენ. ამას გა[...] მუსიკის ყველა შემსწავლელნი იქით ისწრაფვ[...] რათა დროით გაათავონ კურსი, რომ შემდეგ [...] ვალება ექნეთ ფულის შოვნისა. თვით სწავ[...] დროსაც კი, მემუსიკე-სტუდენტები ცდილობენ [...] ლის შოვნას, იაფ კაბარეებსა და კინემატოგრაფ[...] ში დაკვრით, მიუხედავათ პედაგოგების პროტეს[...] სა, რომლებიც ასეთ საქციელს მეტად მაზარა[...] ლად სთვლიან სტუდენტის ტეხნიკის და მუსიკა[...] რი გრძნობისათვის.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ „ტ[რი]ბუნა“-ში შემდეგი:

ბევრი, როგორც პარტიული (მემარც. ფედ[...] ისე არა პარტიული პირადი ამხანაგ-მეგობრები [...] კითხებიან:—მე მეკუთვნის თუ არა **დ. მ—ლი**[...] ფსევდონიმით ხელმოწერილი ის კორესპონდენციე[...] რომელიც თითქმის სისტემატიურმდ იბეჭდება გ[...] „მუშა“-ში და რომელიც შეეხება ფოსტა-ტელეგ[რა]ფის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებას. ვაცხად[...] რომ მე არ მეკუთვნის გაზ. „მუშა“-ში მოთავსებ[...] ლი კორესპონდენციები **დ. მ—ლი—ს** ფსევდონიმ[...] მართალია მეც ვათავსებ პატარ-პატარა წერილ[...] **დ. მ—ლი—ს** ხელის მოწერით, მაგრამ ვბეჭ[...] პარტიულ ორგანოში „ტრიბუნა“-ში და არა სხ[...] გაზეთებში.

**დ. მელაშვილი (დ. მ—ლი.)**

მე ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პა[რ]ტიაში 1905 წლიდან. შემდეგ საქართველოს გას[...] ჰოებისა პარტიაში ჩემდამი დამოუკიდებელ მიზ[...] ზებისა გამო არ მიმუშავნია; ეხლა მთელი ჩემი [...] გნებით გადავდივარ მემარცხენე სოც.-ფედერალი[ს]ტთა პარტიაში.

**კ. წერეთელი**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

## განათლების დაფასება

მახსოვს—ერთ რომელიღაც მეცნიერულ ნაწარმოებში გამოთქმულია ის აზრი, რომ სკოლების, თეატრების და სამკითხველოების გავრცელება ერთი ათად სპობს უკულტურობას, უსამართლობას და ველურობასაო; რომ მასწავლებელი სკოლის, თეატრის, სამკითხველოსი და ყოველგვარი კულტურული წამოწყების დასაწყისი არისო. ეს სინამდვილეა და ამიტომ გული გტკივა, როდესაც ხედავ დაფასებასა და უზრუნველყოფას მოკლებულ მასწავლებელს (ასეთი მაგალითი კი მრავალია)...

ამას წინად დამსახურებული მასწავლებლის აფრასიონ ჯაფარიძის 50 წლ. იუბილეზე, სხვათა შორის, აღვნიშნე დამსახურებულ მასწავლებელთათვის დამხმარე ფონდის შექმნის აუცილებლობა და, რომ ჩემს წვლილს აპრილისთვის ჯამაგირიდან 10 პროც. (ერთ მილიონ მანეთს) და შემდეგ ყოველ თვიურად 2 პროც. (მაისის ჯამაგირიდან—400 ათას მან.) ამ ფონდის გასაძლიერებლად გადავსდებ*).

ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირე წვლილია, მაგრამ დიდი საქმე ყოველთვის მცირედან იწყება! სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ზედმიწევნით ესმის სკოლისა და აღმზრდელობის მნიშვნელობა, რომელთაც მოაგონდებათ თავიანთი საყვარელი მასწავლებელნი—უყურადღებოთ არ დასტოვებენ ასეთ სერიოზულს, საკმაოდ მომწიფებულ საკითხს და თავიანთ წვლილს გაიღებენ—დამსახურებულ მასწავლებელთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად.

ყველა ადგილობრივმა კომიტეტებმა და განსაკუთრებით—ყველა განათლების განყოფილებებმა შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკმაოდ მომწიფებულ საკითხს და ხელი შეუწყონ მის სასურველათ განვითარებასა და მოგვარებას....

ეს საქმე წმინდაა—ვით თვით განათლება!

**სევ. ჭიჭინაძე.**

*) რედაქციამ მიიღო ამხ. ს. ჭიჭინაძისაგან აღნიშნული ფონდისათვის 1,400,000 მან.

## სხვა და სხვა

— **თაგვების თავდასხმა.** დაღესტანის ოლქში ხდება მინდვრის თაგვების არაჩვეულებრივი თავდასხმა, რომლებმაც დაიკავეს 180 ათას დესიატინამდე სათეს მინდვრებისა. ამათთან საბრძოლველად გამოწვეული არის. მთელი მოსახლეობა. შექმნილი არის რაიონული შტატები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მეთაურობით. ბრძოლა საწამლავების საშუალებით სწარმოებს.

— **იაპონელი ტოლსტოი,** იაპონიის საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრების არენაზე გამოჩნდა ახალი ფიგურა, რომელიც ყველას ყურადღებას იქცევს და რომელმაც შექმნა რუსეთის ტოლსტოისებური მოძრაობა. მისი სახელი ნიშიდა არის. მისი წიგნი „მონანიებულის ცხოვრება“ სულ მოკლე ხანში 200.000 ეკზემპლიარი გასაღდა, როგორც „მანჩესტერი გარდიანი“ ირწმუნება მისი მოძღვრება წარმოადგენს ბუდიზმისა და ქრისტიანობის შერევას, ტოლსტოის მოძღვრების მსგავსათ. 75 პროცენტი ამ მოძღვრებაში ბუდისტურია, 15 პროც. ქრისტიანული და 10 პროცენტი კომუნისტური ელემენტი. თავის მოძღვრებაში ნიშიდა ცდილობს გადასჭრას რეთდროულათ ერლიგიური პოლიტიკური და ეკონომიური ელემენტები; პოლიტიკური მხარეს საერთოდ უფრო მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს. მთავარი მისი პრობლემა არის დამოკიდებულება შრომასა და კაპიტალის შორის· არა მარტო თეორიაში, არამედ თავის პირად ცხოვრებაშიც ნიშიდა ტოლსტოის მიმდევარია. განსხვავება მხოლოდ მასში არის, რომ მისი პირადი ცხოვრება შეიქმნა უფრო მეტად ბუდისტური მოძღვრების და წმინდა აღმოსავლეთური პირობების თავისებური გავლენის ქვეშ, ვიდრე ტოლსტოის გავლენისა. ამიტომ იაპონელი ტოლსტოი უარყოფის და სიმარტივის საკითხში გაცილებით შორს მიდის. ნიშიდა მოითხოვს სრულ ხელის აღებას პირად ინტერესებზე, რადგან სიმდიდრისადმი სწრაფვა არის ყველა ბოროტებათა ფესვი. თვით ნიშიდა, ამ მოთხოვნილების თანახმად, ნამდვილი მათხოვრის ცხოვრებას ატარებს; ქუჩებში ძონძებში დაიარება; თავს ირჩენს მეტად დამამცირებელი სამუშაოებით და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ასეთი მუშაობა შესძლებს სულის განათებას. ის არასოდეს არ მოითხოვს თავისი შრომის დაჯილდოებას და სამზარეულოს ნარჩენებით კმაყოფილდება. ნიშიდას საზოგადოებრივი იდეალი შემდეგში გამოიხატება: ყველა ადამიანი მხოლოდ ისეთ საჭმელს უნდა იღებდეს, რომელიც ყველასათვის არის ხელმისაწდომი; ყველანი ისეთ ტანთსაცმელს უნდა ატარებდენ, როგორსაც ატარებს უკანასკნელი ღატაკი და ცხოვრობდენ ისეთ ბინებში, რომელნიც უღარიბეს კლასისათვის არიან მისაწდომნი. და მხოლოდ ამის შემდეგ გაქრება შური, აღარ იქნება სიმდიდრის წყურვილი: გაქრება ბრძოლა და ომები. ამ თავისებურმა ტოლსტოიმ, რომელმაც მისი მოძღვრება წმინდა აღმოსავლეთურ უკიდურესობამდე დაიყვანა, იაპონიის მთელი საზოგადოებრივი აზრი შეაძრია. ყველაზე მეტი გავლენა მას ახალგაზდა თაობაში აქვს. მრავალი ყმაწვილი გახდა მისი მხურვალე მიმდევარი. ეს ყმაწვილები ყოველივეში მას ბაძავენ და ისეთსავე ცხოვრებას ატარებენ, როგორც მათი მასწავლებელი.

— **კრუპპის გასამართლება.** ქ. ვერდენში საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს წინაშე დაიწყო მოსმენა კრუპპისა და სხვა ამ ფირმის დირექტორების ბრალდების საქმისა; მათ ბრალი ედებათ პროვოკაციაში, რომელმაც გამოიწვია ცნობილი სისხლიანი შეტაკება ვნების კვირის შაბათს. პირველ დღეს დაკითხულ იქმნენ ბრალდებულები, რომლებიც უმთავრესად უხსნიდენ სასამართლოს კრუპპის ქარხნების ადმინისტრატიულ წყობილებას. ყველა ბრალდებულები ამტკიცებენ, რომ რურის ოლქში ჩვეულებათ გადაიქცა, თუ კი ფრანგები გაჩნდებოდნენ ფაბრიკებში,—სირენებით გამოეწვიათ მუშები და მათ არ შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ამ შემთხვევაში გამოწვევა სისხლიან შეტაკებამდე მივიდოდა. ფრანგების რაზმის ლეიტენანტის დაკითხვა ახალს არაფერს იძლევა. იმის გამო, რომ ლეიტე-


# განცხადება

## ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრ. სადგურის აგების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 30 მაისს, 1913 წ. დანიშნულია შეჯიბრება მიწის მუშაობის გაცემაზედ სადგურის მთავარ არხში 16 პიკეტიდან 27 პიკეტამდე, დაახლოებით 15,000 კუბ. საჟ.

აღნიშნული სამუშაოს აღების მსურველთ შეუძლიათ შეიტანონ წერილობითი განცხადება მიღებულ ფორმის ბლანკებზე დაწერილი დაბეჭდილი კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 30 მაისის 1923 წ. შეჯიბრებაზე“ განცხადება უნდა იქნეს ჩაშვებული ყუთში არა უგვიანეს 1923 წ. 30 მაისის შუადღისა და ამავე დღეს შესდგება კონვერტების გახსნა.

ფასი უნდა აღინიშნოს ოქროს ფულით. გადახდა ფულისა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ბონებით გადასახდელ კვიტანციის თარიღის კურსით, თანახმად ტფილისის ბირჟის ოფიციალურ კურსისა.

განცხადებაზე დართული უნდა იქნეს კვიტანცია „კომზაჰესის“ კასაში 5 პროცენტი ბეს შეტანის შესახებ. საიჯარო ფასიდნ ფულის მაგივრად ბედ შეიძლება შემოიტანოს ნოტარიულად დამტკიცებულ გირაოებისა უძრავ ქონებაზე იმავე ღირებულებისა.

იმათ ვინც სამუშაოს არ აიღებს, ბე შეჯიბრების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ, ბე იმისა ვინც სამუშაოს აიღებს დარჩება „კომზაჰესი“-ს კასაში და თანდათან გადიდდება 10 პროცენტამდი სამუშაოს მთელი ღირებულებისას თვითეულ გადახდიდან 10 პროცენტის დაჭერით—ეს ბე დაუბრუნდება მოიჯარადრეს, მხოლოდ მუშაობის გათავების შემდეგ.

„კომზაჰესი“—უფლებას იტოვებს სამუშაო გადასცეს არა უმცირეს ფასის განმცხადებელისა, ვინაიდან ანგარიშს გაუწევს ფასის გარდა განმცხადებელის სანდობას და წინად გატარებულ მუშაობასაც.

დაწვრილებითი ცნობების და განცხადების ბლანკების გაცნობა და მიღება მსურველთ შეუძლიათ „ზაჰეს“-ის ტეხნიკურ განყოფილებაში (ტფილისი, ველიამინოვის ქ. № 3) ყოველდღე 10 საათიდან შუადღემდე.

**შენიშვნა:** ბეს წინასწარ შეტანიდან შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ მუშური ან გლეხური არტელები შრომის სახალხო კომისარიატში სათანადო რეგისტრაციაში გატარებული, თუ ისინი განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო მანდატებს თავის რწმუნებულის სახელზე, ამ შემთხვევაში ბე შეტანილი იქნება თანდათან 10 პროცენტის დაჭერით თვითეულ გადახდიდან.

3—1 **კომზაჰესი.**

# განცხადება

## თბილისის აღმასკომის დარაბების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ.

საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ის პირი, რომელიც განიზრახავს დარაბის, საწყობის, სარდაფის და ან სხვა რამე სავაჭრო-სამრეწველოს დაკეტვას, ვალდებული არის ხუთმეტი დღით ადრე უბრალო განცხადებით ამცნოს საფინანსო განყოფილებას (ოთახი № 14) რის შემდეგ უნდა უცადოს აღმასკომის აგენტს რომელიც ჩაიბარებს დარაბის გასაღებს და ინვენტარს და გაასწორებს მოიჯარადრესთან ყოველივე ანგარიშს. ყოველივე გატანილ ინვენტარზე პასუხისმგებელია დარაბის მოიჯარადრე.

საფინანსო განყოფილების გამგე **ვ. ფიადოვცევი.**

№ 361 2—2